



საქართველო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

ქ. ოზურგეთი

3 დეკემბერი 2014 წელი

დადგენილება №45

**„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 აგვისტოს №1 დადგენილებაში
ცვლილების შეტანის შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 20-ე მუხლის შესაბამისად, საკრებულომ:
და ა დ გ ი ნ ა :

მუხლი 1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 აგვისტოს №1 დადგენილებაში („საქართველოს კანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდი, 06/08/2014, ს/კ: 010250040.35.113.016159) შევიდეს შემდეგი ცვლილებები :

1.) დადგენილებით დამტკიცებული საკრებულოს რეგლამენტის 108-ე მუხლის 1,- ლი მე -2, და მე 5. პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ა) „1. საკრებულოს ნორმატიული აქტის პროექტი ქვეყნდება საკრებულოს ვებგვერდზე www.ozurgeti.org.ge ან/და ადგილობრივ გაზეთში, საკრებულოს აპარატში მისი რეგისტრაციიდან 5 დღის ვადაში, თუ ამ რეგლამენტით უფრო მოკლე ვადა არ არის დადგენილი.“;

ბ) ”2. საკრებულოს რეგლამენტიდან ამოღებული იქნას 108-ე მუხლის მე-2 პუნქტი;

გ) „5. საკრებულოს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი – საკრებულოს განკარგულება და საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება, აგრეთვე საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს კომისიების რეგანიზაციულ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილებები ქვეყნდება საკრებულოს ვებგვერდზე www.ozurgeti.org.ge ან/და ადგილობრივ გაზეთში, საკრებულოს აპარატში მისი რეგისტრაციიდან 5 დღის ვადაში, თუ ამ რეგლამენტით უფრო მოკლე ვადა არ არის დადგენილი“.

2) საკრებულოს რეგლამენტის 119-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ახალი მე-3 პუნქტი:

ა) „3. საზოგადოებრივი დარბაზის ფუნქციონირების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს ეს რეგლამენტი და მის საფუძველზე მიღებული საზოგადოებრივი დარბაზის დებულება, რომელსაც, საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით, ამტკიცებს საკრებულო, საერთო წესის შესაბამისად“.

ბ) საკრებულოს რეგლამენტის 119-ე მუხლის მე-3, მე-4, მე-5, მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტების ამჟამინდელი უმერაცია შეიცვალოს და ისინი ჩაითვალოს, შესაბამისად, მე-4, მე-5, მე-6, მე-7, მე-8 და მე-9 პუნქტებად; მუხლი 2. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე .

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დარჩია